Clean Up Georgia

დავსუფთავოთ საქართველო

რეციკლირება

რეციკლირება ანუ მეორადი გადამუშავება და უტილიზაცია – ეს არის ნარჩენების ხელახალი გამოყენება ან წარმოების ციკლში მათი თავიდან დაბრუნება. ყველაზე გავრცელებულია მინის, ქაღალდის, ალუმინის, ასფალტის რკინის ტექსტილისა და სხვადასხვა სახის პლასტიკატის მეორადი, მესამედი და ა.შ გადამუშავება. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობაში შორეული წარსულიდან გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

გარემოს დამცველებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რეციკლირების დანერგვას საქართველოში, ვინაიდან რეციკლირების შედეგად მცირდება ნედლი მასალის ან რესურსის მოხმარება, რაც თავის მხრივ ზოგავს ენერგიას, ამცირებს ჰაერის დაბინძურებას (რაც ხდება ნარჩენების წვის დროს), ამცირებს წყლის დაბინძურებას (ნაგავსაყრელებიდან) და ა.შ. დღეისათვის ფართოდ მოხმარებული ნივთების უმეტესობა ექვემდებარება გადამუშავებას. ასეთებია: მინა, ქაღალდი, მუყაო, სხვადასხვა სახის ლითონი, პლასტმასის, ტექსტილი, ელექტრონიკა და სხვა.

მოიხმარეთ რეციკლირებით მიღებული ქართული პროდუქცია!
დაასუფთავეთ საქართველო!

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით
ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა 10/ა; ბინა №6
ტელ: +995 32 2 39 95 43
ელ. ფოსტა: info@greens.ge
ან ეწვიოთ ჩვენს ვებ გვერდს:
www. cleanup.ge

2012 წელი

რეციკლირებით მიღებული პროდუქციის ექსპოზიცია ეწყობა პროექტის "დავასუფთაოთ საქართველო"-ს ფარგლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1992 წელს გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (**UNEP**) ინიციატივით, საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს გარემოსდაცვით კამპანიას – დავასუფთაოთ მსოფლიო (**Clean Up the World**)! რომელიც ადგილობრივი გარემოს გაუმჯობესების მიზნით, აერთიანებს მრავალი ქვეყნის ხელისუფლებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, სკოლებს და ცალკეულ მოქალაქეებს.

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის პრინციპების დანერგვას და 3R ინიციატივის პოპულარიზაციას.

3R ინიციატივა მიღებული და მხარდაჭერილი იქნა 2005 წელს იაპონიაში მინისტერიალის კონფერენციაზე. 2006 წლის მარტში, ტოკიოში, მსოფლიოს 20-ზე მეტი სახელმწიფოს მეთაური შეიკრიბა უშუალოდ 3R-ის პრინციპის თემატიკის განსახილველად. აქვე მიღებული იქნა რეზოლუცია, როლითაც სახელმწიფოებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მკაცრად დაევალათ 3R პრინციპრბის ხელშეწყობა და დანერგვა ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეებზე.

თავად ტერმინი 3R - აღნიშნავს შესაბამისი სამი სიტყვის პირველი ასოების ერთობლიობას. ეს სიტყვებია

Reduce - შემცირება

Reuse - ხელახალი გამოყენება

Recycle – რეციკლირება ანუ გადამუშავება

პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველო და მდგრადი განვითარების კავშირი "ეკოხედვას" მიერ. შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური უზრუნველყოფით და გარემოს დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

Friends of the Earth International

Sida